ალექსანდრე შოშია ჩხაიძის პიესის ,,ხიდის“ განხილვა

სოფიკო ცეცხლაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
soffikocec@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.951

ამ პიესით შოშია ჩხაიძეს ქართული თეატრის ისტორიის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის და არა მარტო - თეატრის, მან თავისი დრამატურგიით ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა ქართული აზროვნებისა თუ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესშიც კი.

მეტად ცხოვრებისეული, სამართლიანობასა თუ კაიკაცობაზე დაფუძნებული მისი შემოქმედებითი ნამუშევარი, არასდროს გახუნებულა და მიმაჩნია, რომ არც არასდროს გახუნდება. მისი გული სავსე იყო ადამიანთა სიყვარულით, სიკეთითა და უბოროტო საქციელებით. მისთვის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა, ადამიანს არ დაკარგვოდა პირვანდელი არსი და ყოველთვის დარჩეს ადამიანად. არ შეუშინდეს ცხოვრების ურთულეს გამოწვევებს, ყოველთვის იაროს სწორი და მართალი გზით, სადაც მუდამ იქნება სამართალი, მორალი და ადამიანთა შორის პატივისცემა.

მიუხედავად არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფონისა, ავტორი მაინც არ უშინდებოდა მაღალი თანამდებობის პირების ინტერესებს და კვლავინდებურად აგრძელებდა თავის საქმიანობას. დრამატურგს არასოდეს უღალატია საკუთარი ცხოვრების კრედოსთვის, მაღალი მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი პოზიციებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სიტყვა მოზომილი, სხვების ინტერესებისთვის დამაკმაყოფილებელი და მისაღები უნდა ყოფილიყო, დრამატურგი ყოველ სტერეოტიპს ამსხვრევდა. გაბატონებული წესისა და ჩარჩოების მიღმა კვლავ აგრძელებდა საქმიანობას. შოშია ჩხაიძემ ,,ხიდის“ პერსონაჟების მეშვეობით, სრულყოფილად წარმოაჩინა თავისი სათქმელი, ცხოვრებისეული პოზიცია თუ ყოველი კრიტიკული მოსაზრება.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე შოშია ჩხაიძე, პიესა, ხიდი, საბჭოთა კავშირი.

ალექსანდრე შოშია ჩხაიძეს XX საუკუნის დრამატურგიასა და ლიტერატურაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დრამატურგი თავისი პიესებით უპირისპირდებოდა საბჭოთა კავშირში გაბატონებულ ყოველგვარ მანკიერებას, უკანონობასა და მექრთამეობას. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი საუკეთესო პიესა, რომლებიც მსოფლიოს სამასამდე თეატრში ბრწყინვალედ დაიდგა. მისი ყოველი პიესა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გაბრძოლების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

დრამატურგიაში მოღვაწეობიდან სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოიპოვა იმ დროისათვის მეტად გაბედული პიესით ,,ხიდი“. ხოლო, მას მოჰყვა შემდეგი პიესები: ,,შთამომავლობა“, ,,ჩინარის

მანიფესტი“, ,,როცა ქალაქს სძინავს“, ,,გზაჯვარედინზე“, ,,დღის წესრიგშია ერთი საკითხი'', ,,სამიდან ექვსამდე“ და სხვა.

პირველი მოტივი, რომელიც მძლავრად გაისმის ალექსანდრე შოშია ჩხაიძის შემოქმედებაში, წინასწარაა განსაზღვრული ისტორიული თუ მისივე თანამედროვეობიდან გამოწვეული ვითარებით. რამაც განაპირობა საკვლევი თემით დაინტერესება. საქართველო საბჭოთა კომუნისტურ პარტიას წარმოადგენდა და, როგორც ყოველ პარტიაში, ისიც მოკლებული იყო საკუთარი ძალებით ქვეყნის მართვის უფლებას, საკუთარი ეკნომიკური, პოლიტიკური თუ ეროვნული მოტივებით თავისუფლად ცხოვრების ნებას. სწორედ, ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი ალექსანდრე შოშია ჩხაიძის პიესის ,,ხიდის“ მიმართ. საკვლევი თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ავტორს პიესაში კრიტიკულად აქვს გადმოცემული ყოველი საბჭოური მანკიერება. მოცემულ საკითხზე მუშაობისას, გამოვიყენეთ ემპირიული მასალა და შედარება-შეპირისპირების მეშვეობით გამოვყავით პიესის მთავარი სათქმელი.

დრამატურგის შემოქმედების შეფასებისას, ერთი რამ კი აუცილებლად უნდა განიხილებოდეს. თუ რამდენად თანადროულად ჟღერს საბჭოეთისა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თეატრალურ სცენებზე გაცოცხლებული ეს პიესა. იმ უმწვავესი ცხოვრებისეული პრობლემების გათვალისწინებით, რომელსაც ავტორი შეუპოვრად აშუქებდა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ავტორის ნამუშევრებს, მის იდეას დღესაც არ დაუკარგავს ეროვნული მოტივი.

მიუხედავად, თითოეული პიესის უდიდესი მნიშვნელობისა ქართული დრამატურგიის განვითარებისადმი, შოშია ჩხაიძის ცხოვრებაში პიესას ,,ხიდი“ მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს დრამატურგის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მრწამსის სრულყოფილად გამომხატველი ნაწარმოებია. მისი შემოქმედებითობითი თვითმყოფადობა საუკეთესოდ, სწორედ ამ პიესაში გამოვლინდა. ამდენად, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ამ პიესით ინტერესდებოდნენ საქართველოსა და სხვა მრავალი ქვეყნის თეატრები. თუმცა, პირველი რეჟისორი, ვინც ეს ნაწარმოები სცენაზე გააცოცხლა, საქართველოს სახალხო არტისტი, გიგა ლორთქიფანიძე იყო. მან, როგორც რეჟისორმა, სწორად დაინახა ავტორის მახვილი მზერის მიმართულება და თავადაც უდიდესი გაბედულება გამოიჩინა, სახალხო სანახაობად ექცია იგი. ფაქტობრივად, ისინი ამ პიესით კომუნისტურ ხელმძღვანელობას სახალხოდ ასამართლებდნენ.

საგულისხმოა ისიც, რომ მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში ამ სპექტაკლის პრემიერას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, პლენუმის მონაწილე ყველა რაიკომის მდივანი დაასწრო. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პარტიული ელიტა დრამატურისა და რეჟისორისაგან ახალ სიტყვას მოისმენდა. ამის შემდეგ, ძალიან მალე პიესა „ხიდი“ რუსთავის თეატრმაც (რეჟისორი ნუგზარ გაჩავა) დადგა და მოსკოვში, საგასტროლო რეპერტუალშიც ჩაისვა. წარმოდგენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოსკოველმა კრიტიკოსებმა „ხიდის“ მთავარი გმირის სახე, დეკაბრიტებს შეადარეს.

,,ხიდი“, ავტორისათვის ცხოვრებაში დამახასიათებელი ჯანსაღი ირონიისა და ისტორიზმის საინტერესო გრძნობით შექმნილი ნაწარმოებია. თხრობის ეს სტილი, პირველივე სტრიქონებიდანაა შესამჩნევი. ირონია კი მკითხველის ცნობიერებაში თავიდანვე შემოდის და ბოლომდე რჩება.

ისტორიზმისა და ჯანსაღი ირონიის საუკთესო ნიმუშია ეს ამონარიდიც: „არც შექსპირს, არც ილია ჭავჭავაძეს მემუარები არ დაუწერიათ, მაგრამ არ დაქცეულა ქვეყანა. სულმნათ ილიასაც დიდ პატივს ვცემ, გენიალურ პუშკინსაც, მით უფრო ჩემს კოლეგა შექსპირსაც, მაგრამ მე მაქვს ერთგვარი უპირატესობა - არც ერთ მათგანს არ უცხოვრია მეოცე საუკუნეში, თანაც იმდენი რამე ვნახე და გადავიტანე, ადამიანთა ისეთი ჟლეტა, განუკითხაობა, ერთმანეთის გაყიდვა, ქრისტეს ათივე მცნების ფეხქვეშ გათელვა, რასთანაც ვერც თერგდალეულთა ეროვნული მოძრაობა, ვერც იორკის სამეფო კარის ინტრიგები და ვერც პუგაჩოვის „ბუნტი“ ახლოს ვერ მივა. თანაც ისე ვაბურთავეთ ისტორია, ისე გავაუკუღმართეთ და ჩავჩქმალეთ, მოსარგები მოვირგეთ, გასანადგურებელი გავანადგურეთ, რომ ამ ლაბირინთიდან თავდასაღწევად ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ, რომ ამით მაინც შევუმსუბუქოთ ცხოვრება მომავალ თაობებს. რომელთაც ისედათ უამრავ თავსატეხს ვუტოვებთ. მაგრამ ამისათვის ძალიან ცოტა დრო გვრჩება. ყველამ თავისი წილი სიმართლე უნდა თქვას. მის სათქმელს სხვა ვერავინ იტყვის, თუკი ჩემს თაობას კიდევ შემორჩა ამის უფლება და უნარი, თუ ჩვენი გზები საბოლოოდ არ გადაგვარდა. მე ამისათვის კალამი მარგუნა ბედმა“ [ჩხაიძე ალექსანდრე, გ. ,,აჭარა''. N 205-206, ბათუმი, 1997].

ქართულმა ლიტერატურამ სხვადასხვა სახის დრამატურგია იცის, რომელშიაც ეროვნული თავისუფლების გრძნობას უმაღლეს ესთეტიკურ სიმაღლემდე მიუღწევია, მაგრამ მას იშვიათად შეხვედრია მსგავსი გრძნობის, ასეთი გზნებით გამოხატვა პიესაში, როგორც ეს დასახელებულ მცირე მოცულობის ნაწარმოებებში, ამ უკანასკნელ პიესაში გვხვდება.

მწერალი, რამაზ სურმანიძე იხსენებს, ალ. შოშია ჩხაიძის პიესა ,,ხიდი“ პირველი ქართული პიესა იყო გერმანიის ქალაქ სტენდალის თეატრის სცენაზე. ამიტომ ღელავდნენ მასპინძლებიც და მსახიობებიც. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი მსახიობებიდან არც ერთი მათგანი საქართველოში ნამყოფი არ ყოფილა, არც საქართველოსა და მის კულტურას იცოდნენ კარგად, მათი შესრულებული როლები მაინც უდიდეს აღფრთოვანებასა და კრიტიკოსების მოწონებას იმსახურებდა.

აღსანიშნავია, რომ არც დამდგმელი რეჟისორი, ბერნდ გური, არც მარიკა ჩოდრიშვილის როლის შემსრულებელი - მარტინა კრომოლცი, არასოდეს ყოფილან საქართველოში, საერთოდ, საბჭოთა კავშირში და ნაკლებად იცნობდნენ ქართველებს, ჩვენს ყოფასა და კულტურას. ჩვენს ჩასვლამდე ,,ხიდი“ რამდენჯერმე ეთამაშათ. მაყურებელი კმაყოფილიაო, გვითხრეს. ქართულის შესანიშნავმა მცოდნემ - ჯულიამ სახელდახელოდ გაზეთებში დაბეჭდილი რეცენზიები წაგვიკითხა. ძალიან ვისიამოვნეთ წარმოდგენით [ჩხაიძე, 2009: 5].

პიესაში ,,ხიდი“ დრამატურგს წინა პლანზე წამოწეული აქვს ისეთი ზოგადსაკაცობრიო და ზნეობრივი ღირებულებები, როგორიცაა მოქალაქისა თუ

სახელმწიფო მოხელის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე. ავტორი შესაშური გამბედაობით ამხელს საბჭოთა ბიუროკრატიას და მას უპირობოდ ხელმძღვანელობის პრობლემას უკავშირებს.

მოსკოვში საგასტროლოდ ჩასულებს, სპექტაკლი არნახული წარმატებით დაიდგა. მოსკოველებს ნამდვილად უკვირდათ რასაც უყურებდნენ და ორმაგად აოცებდათ დრამატურგის ასეთი სიმამაცე, რასაც პიესის პერსონაჟებით ასაჯაროებდა. დარბაზი გაოცებისა და უფრო მეტად, მოლოდინით, თუ რა მოხდებოდა ყოველი მოქმედების შემდეგ, სულგანაბული ისმენდა პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირის, პროკურორის თანაშემწის, მარიკა ჩოდრიშვილის მონოლოგს: ,,ხელმძღვანელის პრობლემა გაცილებით საშიშია, რადგან უმაღლესი ნდობითა და უფლებით აღჭურვილი ადამიანის ნაკვალევი უფრო დიდი და ღრმაა და როცა ეს ნაკვალევი ზოგჯერ ხრამად და კედლად იქცევა, ეს სახელმწიფოს, ხალხს ძალიან ძვირი უჯდებათ. ამიტომ ხელმძღვანელმა ყოველი ნაბიჯი ფრთხილად, მოზომილად უნდა გადადგას“ [ჩხაიძე, 2009: 62].

სამართლიანად ჟღერს მისი შემდეგი სიტყვებიც: ,,ჩვენს სიტყვაზეა დამოკიდებული კანონისა და სახელმწიფოს ავტორიტეტი. თუ გამრუდდა ეს სამართალი, ხალხი მაშინვე დაკარგავს რწმენას ყველაფრისადმი,.. რადგან ადამიანმა უნდა დაინახის კანონიერება არა ლოზუნგებზე, არამედ ცხოვრებაში'' [ჩხაიძე, 2009: 62].

,,ხიდის'' პერსონაჟების სულისკვეთების უკეთ გააზრებით, ჩვენ დავიცავთ არა მხოლოდ ხალხის ინტერესებს, არამედ სახელმწიფო ინტერესებსაც, რაც შემდგომ ისევ მათი კეთილდღეობისა და განვითარებისაკენ შემოტრიალდება. ავტორის ღრმა რწმენით, ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება უშვებდეს ერთადერთ შეცდომას, როცა იცის სიმართლე და თავის მოტყუებას ცდილობს. როცა სიმართლის დასაცავად არ ეპუება რთულ ვითარებას.

დრამატურგის შემოქმედებაში „მესამე ზარი“ არა ერთხელ დარეკილა. და, არა მარტო აქ, საქართველოში, არამედ, სხვა ბევრი ქვეყანაც გამხდარა მისი შემოქმედებითი ნიჭის გაბრწყინების მოწმე და მაყურებელი. „ხიდი“ უკვე იდგმებოდა ბათუმში, რუსთავში, მოსკოვშიც კი ვისახელეთ თავი, მაგრამ ავტორისთვის რუსთაველის თეატრი მაინც სხვა იყო, მაშინ მას „სამეფო თეატრს“ ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლების დამდეგს კანონიერებასა და კანონზე, უფრო მეტიც, უკანონობაზე აზრის გამოთქმა, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელყოფა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არარეკომენდებული იყო. ამ ყველაფრის ფონზე კი, მარტივი წარმოსადგენია რამხელა რამის წინაშე აპირებდნენ დაპირისპირებას.

პიესაში მოცემული საკითხი, ნათლად ასახავს საბჭოთა კავშირის ყოველ სიმრუდეს. ავტორი მხოლოდ საბჭოური მანკიერების მხილებითა და ჯანსაღი კრიტიკით არ კმაყოფილდება. მისი შემოქმედებითი საქმიანობა, ხედვა უკეთესი მომავლისაკენ იყო მიმართული. ცალკე საკითხია იმ ეპოქის განხილვის აუცილებლობა, რომელშიც უწევდა დრამატურგს ცხოვრება. ქართულ ეროვნულ ორგანიზაციაში გამუდმებით იკვეთებოდა მაღალი თანამდებობის პირთა ტყუილები, უსამართლობა მოსახლეობის მიმართ, ნეპოტიზმი, მექრთამეობა, სიმართლის

დამალვა და ხალხის ბრბოდ აღქმა. საბჭოთა კავშირი უხეში ფორმით უშვებდა ისეთ შეცდომებს, რომელიც საწამლავივით ღრღნიდა დრამატურგის თავისუფლებისმოყვარულ სულს და გადაგვარების მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფებდა.

ავტორს თავის პიესებში გადმოტანილი აქვს საბჭოელი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული ყოველი შეცდომა. ხოლო, თავისი პერსონაჟების მეშვეობით, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში გაბატონებულ თითოეულ საბჭოურ მანკიერებას. ამისი ნათელი მაგალითია მარიკა ჩოდრიშვილის პერსონაჟის ურყევი პოზიციაც. დღესაც აქტუალურია პიესაში განვითარებული იდეა ხელისუფლების პირველი პირის ზნეობრივ-მორალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რომელსაც პროკურორის მოადგილე, მარიკა ჩოდრიშვილი აცხადებს.

,,ხიდის“ პერსონაჟები გამოირჩევიან თავიანთი არაორდინალური აზროვნებითა და ქმედებებით. ისინი უამრავ დადებით ემოციას აღგვიძრავენ, უამრავ ასოციაციას გვიქმნიან, გვმოძღვრავენ და გვაფიქრებენ უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ. ყოველივე ამაზე დაყრდნობით კი ნათლად იკვეთება, რომ მათი ფუნქცია, მამოძრავებელი ძალა დრომოჭმულის, ძველის ნგრევისკენ მიმართული გზისაკენ დაუღალავი სიარული იყო.

შოშია ჩხაიძის პიესის ქალბატონები **მარიკა ჩოდრიშვილი, ფატი გურიელი, ცირა გელოვანი...** ყველა ერთად თუ ცალ-ცალკე რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს. ყოველი მათგანი ერთნაირად ეწინააღმდეგება იმჟამინდელი სისტემის სიმრუდეს. მისი წიგნის ეკრანიზაციებშიც არაერთი ცნობილი მანდილოსანი ფიგურირებს მათ შორის ვერიკო ანჯაფარიძე, კლაუდია კარდინალე, ალისა ფრეინდლიხი, პოლონელი მონაზონი... თითოეული მათგანი, მართალია სხვადასხვა თაობის, შინაგანი წყობისა და სოციალური წარმოშობის ქალბატონები არიან, მაგრამ მაღალი იდეალების, სიწმინდით ერთმანეთის მსგავსი, ეროვნული ტრადიციების, ერთგულებისა და სიყვარულის დამცველ სახეებს განასახიერებენ.

იური ბიბილეიშვილი შენიშნავს, რომ ეს პიესა, გამოირჩეოდა არა მხოლოდ კრიზისში მყოფი საზოგადოების მძაფრი კრიტიკით, არამედ იმ მარადიულ ღირებულებათა წინ წამოწევითაც, რომელთაც ურთულეს სიტუაციაში, ისტორიის ყველაზე ძნელ პერიოდშიც კი, ადამიანში უნდა გადაარჩინოს პიროვნება, ხოლო ერში - მარადიული სული. ალექსანდრე ჩხაიძის პიესები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის უმწვავეს ტკივილებს ეხება, სიკეთისა და პატიოსნებისათვის ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს... [ბიბილეიშვილი იური, ,,ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე - 80“, გ. ,,აჭარა''. N40, ბათუმი, 2004].

შოშია ჩხაიძეს პიესაში წინა პლანზე წამოწეული აქვს ისეთი ზნეობრივი ღირებულებები, როგორიცაა მოქალაქის პასუხისმგებლობა საზოგადოებისა თუ სამშობლოს წინაშე. იგი ებრძოდა და აკრიტიკებდა საბჭოურ იდეოლოგიას, როგორც ადამიანის ფსიქიკისა თუ ფიზიკური შესაძლებლობების გამანადგურებელს. ერთი შეხედვით ეს მარტივად წარმოგვიდგება, თუმცა საზოგადო საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობა, ძალიან დიდ რისკებს შეიცავდა. როცა ყველას საკუთარი აზრისა თუ შეხედულების, მით უფრო, სიმართლის ცოდნისაც ეშინოდათ. თითქოს სახელმწიფოს იდეურ მოტივზე ჰყავდა დაყვანილი, სიმართლის წინაშე ყველას

თვალი უნდა დაეხუჭა და ერთადერთი რაც შეეძლოთ, ფულზე უნდა გაყიდულიყვნენ.

ერთ-ერთ ინტერვიუში, ალექსანდრე შოშია ჩხაიძე ამბობს: ,,ხიდი“ უკვე იდგმებოდა რუსთავში, ბათუმში, მოსკოვშიც კი ვისახელეთ თავი, მაგრამ რუსთაველი მაინც სხვა იყო (,,სამეფო თეატრს“ ეძახდნენ შინაურულად), ცეკასა და კულტურის სამინისტროს შორის მოქცეული. 70-იანი წლების დამდგეს კანონსა და კანონიერებაზე, უფრო სწორად, უკანონობაზე აზრის გამოთქმა, მაღალი რანგის ხელმძღვანელთა ხელყოფა, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო რეკომენდებული“ [ალექსანდრე შოშია ჩხაიძე, ,,მიხეილ თუმანიშვილის გვერდით“, გ. ,,აჭარა“. N205-206, ბათუმი, 1997].

,,ხიდი“ ადამიანებისათვის ერთგვარი შეხსენებაცაა სიყვარულისა და მეგობრობის კავშირის უცილობელი მნიშვნელობისა. ავტორი ნათლად და მკაფიოდ, სევდიანად და მისთვის დამახასიათებელი იუმორნარევი მომენტებითაც გადმოსცემს თითქმის ყველა იმ ცხოვრებისეულ საჭირბოროტო ამბავს, რომელმაც განსაზღვრა არა მარტო ერის, არამედ ქვეყნის ბედიც.

მან პერსონაჟებით გამოკვეთა სამართლიანი ადამიანების უკვდავი სახეები, ურყევი პოზიცია თავისუფალი ცხოვრებისათვის. მისი პერსონაჟების მეშვეობით დაგვიხატა შეუვალი, პრინციპული ხასიათები და დაგვიტოვა ასეთივე თვისებების მქონე სასცენო სახეები: ირაკლი რაზმაძე - ქალაქის პროკურორი, მარიკა ჩოდრიშვილი - პროკურორის თანაშემწე, გერონტი სართანია - ინჟინერი და სხვანი.

დრამატურგის კრიტიკის პათოსი და მისი სასიცოცხლო მუხტი, ბოლომდე თან სდევს პისესებს. ,,ხიდი“ გამოირჩევა საბჭოური სისტემის კრიტიკით, მკაფიოდ და ხაზგასმით გადმოცემული ეპიზოდებით:

,,არჩილი: მარიკა ხმას ნუ იმაღლებ. მე აქ ბრალდებული არა ვარ და არც შენ ხარ ბრალმდებელი!

მარიკა: ვარ მე ბრალმდებელი. მე ამ საქმეს ვარკვევ არა ევგენიძისა და სხვათა დასასჯელად, მე მინდა დავიცვა ამ ქალაქის ღირსება. დაგიცვა შენ, სხვები. თვითონ კი ამ დროს გვერდიდან მეცლები იმიტომ, რომ შენ ყოველთვის მიგაჩნდა უსამართლობად ის, რაც პირადად გიშლიდა ხელს წინსვლაში, სხვებს კი კისერიც უტეხიათ!

არჩილი: მთელი ქვეყნის პატრონობა ჩვენთვის არავის დაუვალებია!

მარიკა: დაგვავალეს! იმიტომ, რომ მთელი ქვეყანა ჩემთვის ეს ქალაქია, სადაც მე და შენ დავიბადეთ, გავიზარდეთ, საიდანაც გავემგზავრეთ სასწავლებლად და ისევ დავბრუნდით პატრონებად!“ [ჩხაიძე, 2009: 57].

მოცემული ეპიზოდი ასახავს ორი განსხვავებული ცხოვრებისეული პოზიციის დაპირისპირებასა და მხილების საუკეთესო მონაკვეთებს. ახალგაზრდა სპეციალისტმა, არჩილ სავანელმა იცის ხიდის ჩანგრევის რეალური მიზეზები, თუმცა გავლენიანი პირების დარიგებით, დუმილი არჩია. დათმო პოზიციები. რაც პროკურორის თანაშემწესთან, მარიკა ჩოდრიშვილთან არ გამოუვიდათ.

მისთვის თეატრი იყო მაცოცხლებელი ძალა. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მხოლოდ თეატრისაკენ მიუწევდა გული. ყველგან, ყველა ქალაქსა თუ ქვეყანაში,

სადაც არ უნდა ყოფილიყო, პირველი ყოველთვის თეატრით ინტერესდებოდა. დრამატურგიისადმი ასეთი უზადო სიყვარული იყო მისი ცხოვრებისა თუ შემოქმედების ერთადერთი წყარო.

გზა, რომელიც ალექსანდრე შოშია ჩხაიძემ ცხოვრების საასპარეზოდ აირჩია, სხვა მიმართულებით არასოდეს გადაუკვეთავს. ესაა ნამდვილი პატრიოტიზმის გამოვლინება. თანამედროვეობის ზეწოლისა და წნეხის მიუხედავად, აგრძელებდე შენს საქმიანობას, იცავდე სიმართლეს არსებული რისკების მიუხედავად, გმირობის ტოლფასია. ასეთივე პრინციპებით გააცოცხლა პიესა **„ხიდის“** პერსონაჟებიც. მათი სახით მარადიული სიტყვა დაგვიტოვა კომუნისტური ცხოვრების მანკიერ მხარეებზე.

ამ სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის შემცველ პიესაში, ავტორს წარმოდგენილი აქვს დიდი და განსხვავებული თემატიკის პრობლემები. საბჭოთა სისტემაში ხელმძღვანელობის პრობლემა ხომ სახელმწიფოებრივი სისტემის ავ-კარგის ლაკმუსის ფურცელს წარმოადგენდა. ფაქტი, რომ ყოველი მისი პიესა, და მათ შორის ,,ხიდიც'' რევოლუციურად იყო შერაცხული, არაფერს ცვლიდა და მაინც გასაოცარი წარმატებით იდგმებოდა ევროპის თეატრებიდან, ჩინეთის თეატრებამდე. ამასთან, თითოეული მათგანი 300 თეატრში წარმატებითაა დადგმული და 25 ენამდეა ნათარგმნი.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „აჭარა“, 2004 წ., 2 მარტი;
2. გაზეთი „აჭარა“, 2004 წ., 2 ივლისი;
3. გაზეთი „აჭარა“, 1997 წ., 11 ოქტომბერი;
4. ჩხაიძე, 2009 - ალექსანდრე შოშია ჩხაიძე, პიესები, ბათუმი:
5. ჩხაიძე, 1998 - ალექსანდრე შოშია ჩხაიძე, ჩემი წილი საუკუნე, ბათუმი.

Sopiko Tsetskhladze
Batumi Shota Rustaveli State University

Discussion of Alexander Shoshia Chkhaidze's play "Bridge"

Abstract

With this play, Shoshia Chkhaidze makes a significant contribution to the development of the history of Georgian theater, and not only to the theater, he also made fundamental changes in the drama and even in the formation and development of Georgian thought or critical thinking.

His most creative work, based on justice or kayaking, has never faded and I believe it will never fade. His heart was full of human love, kindness, and wickedness. For him, the main thing was not to lose the original essence of a person and always remain a person. Do not be afraid of the most difficult challenges of life, always walk in the right and just way, where there will always be justice, morality and respect between people.

Despite the existing political or economic background, the author was still not afraid of the interests of high-ranking officials and continued his work. A playwright is never betrayed for the credo of his own life, for high civic or moral positions. While every word had to be measured, satisfying, and acceptable to the interests of others, the playwright shattered every stereotype. It continued to operate beyond the prevailing rules and frameworks. Shoshia Chkhaidze, through the characters of "Bridge", perfectly presented his words, life position or any critical opinion.

Keywords: Alexander Shoshia Chkhaidze, play, bridge, Soviet Union.

რეცენზენტი: პროფესორი სოსო სიგუა